

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი
და შვილობილი კომპანიები

ს/კ 211360203

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

თბილისი 2024 წ.

სარჩევი

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	7
კონსოლიდირებული ანგარიშგება სრული შემოსავლის შესახებ	8
კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ.....	9
კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძვლები	12
3. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	13
3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	13
3.2 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.....	14
3.3 შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა	14
3.4 საოპერაციო იჯარა	15
3.5 მოგების გადასახადი.....	15
3.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა.....	15
3.7 ძირითადი საშუალებები.....	15
3.8 არამატერიალური აქტივები.....	16
3.9 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	16
3.10 მარაგები	17
3.11 ანარიცხები.....	17
3.12 პირობითი აქტივები და ვალდებულებები.....	18
3.13 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები	18
3.14 ფინანსური ვალდებულებები	19
3.15 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება.....	19
3.16 სესხები	19
3.17 საკუთარი კაპიტალი.....	19
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	20
4.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.....	20
4.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება.....	20
4.3 სასამართლო დავები.....	20
4.4 გადასახადები.....	21
4.5 საოპერაციო გარემო	21
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	21
6. შემოსავალი	23
7. სხვა შემოსავალი.....	23
8. სხვა ხარჯები	24
9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი.....	24

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	24
11. ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში.....	24
12. მარაგები	25
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	25
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	25
15. გაცემული სესხები	25
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
17. მიღებული ავანსები	26
18. სხვა ფინანსური ვალდებულებები.....	26
19. შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	26
20. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან	26
21. პირობითი ვალდებულებები	27
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	27
მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობით ანგარიშგებაზე.....	28

**შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ს/კ 211360203
ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს,**

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

მოსაზრება

შპს გარანტი-ს (ს/კ 238112920) მიერ (SARAS-F-614423; აუდიტორი ნათელა ჭიაბერაშვილი, სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-723903; <https://www.saras.gov.ge/>) ჩატარებულია შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ს/კ 211360203 თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აგრეთვე სრული შემოსავლისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 05 აპრილს შესაბამისად ვერ დავესწარიტ კომპანიის მარაგების ფიზიკურ ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული თარიღებისათვის არსებული ინვენტარაზაციის ნაშთის სისწორეზე.

ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებში 2022 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის, ვინაიდან ინვენტარაზაციის ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვერდითი აუდიტორის დასკვნის თარიღისათვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების

აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ფონდის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩინეთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე,

გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანსაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

გარიგების პარტნიორი: ნათელა ჭიაბერაშვილი

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 211360203

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა		მენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1094709	952116	
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები		3310067	0	
გაცემული სესხები	15	764673	1583209	
მოკლევადიანი მარაგები	12	1106826	1621500	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2694637	2898359	
საინვესტიციო ქონება		3378472	25017688	
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	11	16001043	23588939	
სხვა მოკლევადიანი აქტივები		107500	198184	
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1185336	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	10	579460	559324	
ძირითადი საშუალებები	10	23284485	5039179	
სულ აქტივები		53507208	61458498	
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	16	1919295	704512	
სხვა ფინანსური ვალდებულებები	18	228539	5629	
ანარიცხები		38437	71059	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		2912874	7474968	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		23396113	13952581	
მიღებული ავანსები	17	8180147	7258430	
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	19	11786	187468	
სულ ვალდებულებები		36687191	29654647	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		10777970	22010615	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		5981726	9753738	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		60321	39498	
სულ საკუთარი კაპიტალი		16820017	31803851	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		53507208	61458498	

დირექტორი: დიმიტრი ტვილდიანი 3/6 01005000648

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 211360203

კონსოლიდირებული ანგარიშგება სრული შემოსავლის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საქმიანობის შედეგები

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
ამონაგები	6	18410558	16987928
გაყიდვების თვითღირებულება		-5077236	-3381941
საერთო მოგება		13333322	13605987
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	122788	93750
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი		-7464505	-5802060
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		-1779876	-587928
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		-21186	-21186
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი		-467494	-2379885
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		-41520	-39077
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		-191180	-217320
იჯარის ხარჯი		-81640	-58600
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		-53124	-43615
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-1049946	-623306
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	-3195957	-2071039
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა		-938242	0
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		13899	0
საპროცენტო ხარჯი		-2027153	-2661746
სხვა ფინანსური ხარჯი		-68869	0
მიღებული დივიდენდები		250000	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	8	-5793	-502405
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		-3666476	-1308430
მოგების გადასახადის ხარჯი		-105536	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-3772012	-1308430

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 211360203

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა

	მენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		18492615	27273259
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		-18350022	-27245256
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0	-985210
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		142593	-957207
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		952116	1909323
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1094709	952116

დირექტორი დიმიტრი ტვილდიანი 3/ნ 01005000648

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 211360203

კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

საკუთარი კაპიტალი	31/12/2023	31/12/2022
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	10777970	22010615
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5981726	9753738
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	60321	39498
სულ საკუთარი კაპიტალი	16820017	31803851

დირექტორი დიმიტრი ტვილდიანი 3/5 01005000648

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 211360203

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტმა მოიცვა თანდართული ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით. აუდიტმა მოიცვა ასევე სალაროს და საბანკო ოპერაციების აუდიტი, მოთხოვნებისა და ვალდებულებების აუდიტი, მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მდგომარეობის აუდიტი, შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის მდგომარეობის აუდიტი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ანგარიშგებაზე არსებული ნაშთების რეალობის აუდიტი, აღნიშნული საკითხები ჩვენს მიერ შემოწმებული და გაანალიზებული იქნა მოწოდებული პირველადი დოკუმენტების, ბუღალტრული ჩანაწერების, ინფორმაციის და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე (რომლის რეალობასა და სისწორეზეა პასუხისმგებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა), აუდიტორული შემოწმება ჩატარდა დოკუმენტური, ანალიზური და შერჩევითი მეთოდების გამოყენებით, ტესტირების და ძირითადი პროცედურების შერჩევის გამოყენებით.

ავლნიშნავთ, რომ:

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (ს/კ 211360203) დაარსდა აკად. დავით ტვილდიანის და დიმიტრი ტვილდიანის თაოსნობით 1991 წლის 18 დეკემბერს. იგი ერთ-ერთი პირველი არასახელმწიფო უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელია საქართველოში. სტუდენტთა პირველმა მიღებამ სწავლა დაიწყო 1992 წლის 31 აგვისტოს. 1997 წლის 6 ივლისს ჩატარდა კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება.

2005 წლის 4 თებერვალს “აიეტი” მიენიჭა პირველი სახელმწიფო აკრედიტაცია.

სასწავლო პროგრამების სტრუქტურისა და მათი განხორციელების მართვის სისტემა ორიგინალურია, მასზე გაცემულია საავტორო მოწმობა.

“აიეტი” შესულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სამედიცინო ცნობარში (WHO AVICENNA Directory for medicine), იგი ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (Association for Medical Education in Europe - AMEE), ევროპის უმაღლესი სამედიცინო სკოლების ასოციაციის (Association of Medical Schools in Europe AMSE) და ევროპულ სისტემაში ბიო სამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო განათლების ორგანიზაციის (ORPHEUS – Organization for PhD Education in Biomedicine and Health Sciences in the European System).

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1000 აშშ დოლარს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ლუბლიანის ქ., №2/6
კომპანიის დამფუძნებელია დიმიტრი ტვილდიანი; 3/ნ(01005000648), 100.% წელით.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, ს/კ 211360203 არის მეწილე:

- საქართველოს ბიოსამედიცინო მეცნიერებებში სადოქტორო განათლების ასოციაცია ს/კ 402886061 23.02.2010 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100%
- შპს ამერიკული ჰოსპიტალი თბილისში ს/კ 205267370 19.11.2008 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100%
- შპს ელიავას საერთაშორისო ფაგოთერაპიული ცენტრი ს/კ 205276770 08.04.2009 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 50% არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ელიავას ფონდი - საქართველოში ბაქტერიოფაგიის განვითარების ასოციაცია, 205254927 50%
- შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტალი ს/კ 401995837 15.04.2014 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100%

- შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საქონო კოლეჯი ს/კ 402022609 22.10.2015 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100%
- შპს ლიცი ს/კ 448404423 10.08.2017 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100%

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშების შესაბამისობა

მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რადგან 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს სსბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამოორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისშედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სასარგებლო მომსახურების ვალები პერიოდულად უნდა გადაიხდოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს შპს დავით

ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

3.2 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი აღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;

- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება
- სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

3.3 შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

შემოსავლები

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საქმიანობა არის უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო მომსახურება, ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელიდან მიღებული შემოსავალი, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შეღავათები და მოცულობის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი მომსახურების ხელშეკრულების სახით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი კონსოლიდირებული გასაყიდი ფასის მიხედვით.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი შეფასებაში ასახავს ფასდათმობას, რომელსაც მომხმარებელი მიიღებს ოფციონის გამოყენებისას, რომელიც კორექტირდება შემდეგი ფაქტორის გათვალისწინებით: ა) ფასდათმობა, რომლის მიღებაც მომხმარებელს შეუძლია ოფციონის გამოყენების გარეშე; და ბ) ამ ოფციონის გამოყენების ალბათობა. ამასთანავე, როდესაც მომხმარებელს გააჩნია სამომავლო საქონლის ან მომსახურების შეძენის არსებითი უფლება და ეს საქონელი ან მომსახურება თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ან მომსახურების ანალოგიურია და მიწოდებაც ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ხორციელდება, მაშინ შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი გარიგების ფასს ანაწილებს ოფციონით გათვალისწინებულ დამატებით საქონელზე ან მომსახურებაზე იმ საქონლის ან მომსახურების მოცულობის საფუძველზე, რომლის მიწოდებასაც საწარმო ვარაუდობს, ასევე შესაბამისი მოსალოდნელი ანაზღაურების გათვალისწინებით.

გამოყენებული გათავისუფლება შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3.4 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

3.5 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3.6 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.7 ძირითადი საშუალებები

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და აღდგენადობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ან შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს მიერ შიდა მოხმარებისათვის აგებულ აქტივებთან მიმართებაში, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების დასრულებასა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ცვეთა დაანგარიშდება აქტივის ღირებულებაზე (შემცირებული აქტივის ნარჩენი ღირებულებით) დაყრდნობით.

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივის განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადრისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობები	20 წელი
- ავტომობილები	5 წელი
- უძრავი ინვენტარი და მოწყობილობები	5 წელი
- კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა	5 წელი
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და დანარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

3.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

3.9 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ

არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

3.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში, მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება შესაბამისი პარტიის კონსოლიდირებული დანახარჯებით. სხვა მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.11 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია). თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც

ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.12 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

3.13 ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები) ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივი აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სხვა ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას. ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო დეპოზიტებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

3.14 ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

3.15 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.16 სესხები

კომპანიას აქვს მიმდინარე სასესხო ვალდებულებები, სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ყავს როგორც შტატის ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

3.17 საკუთარი კაპიტალი

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის წესდებით. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.18 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

4. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და მსჯელობები

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ახდენს გარკვეული საადრიცხო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

4.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.3 სასამართლო დავები

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხების შეფასებისას შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასამართლო დავები - 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

4.4 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

4.5 საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- უცხოური ვალუტის რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი.

სხვა საქმიანობებთან ერთად შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო დეპოზიტები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ ხელმძღვანელობის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1094709	952116
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	3310067	0
გაცემული სესხები	764673	1583209
მოკლევადიანი მარაგები	1106826	1621500
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2694637	2898359
საინვესტიციო ქონება	3378472	25017688
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	16001043	23588939
სხვა მოკლევადიანი აქტივები	107500	198184
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1185336	0
სხვა არამატერიალური აქტივები	579460	559324
ძირითადი საშუალებები	23284485	5039179
სულ	53507208	61458498

ფინანსური ვალდებულებები	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო ვალდებულებები	1919295	704512
სხვა ფინანსური ვალდებულებები	228539	5629
ანარიცხები	38437	71059
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2912874	7474968
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	23396113	13952581
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8180147	7258430
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	11786	187468
სულ	36687191	29654647

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე ვალდებულებებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული

რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

კაპიტალის მართვა

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

6. შემოსავალი

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საქმიანობა არის - უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო მომსახურება; შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი გაყიდვის ხელშეკრულების სახით; ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მიღებული შემოსავალი, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შეღავათები და მოცულობის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს;

შემოსავალი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	18410558	16987928
სულ	18410558	16987928

7. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
სხვა საოპერაციო შემოსავალი	122788	93750
მიღებული დივიდენდები	250000	0
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი	13899	0
სულ	386687	93750

8. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-1779876	-587928
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-21186	-21186
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი	-467494	-2379885
იჯარის ხარჯი	-81640	-58600
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-53124	-43615
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა	-938242	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-5793	-502405
სულ	-3347355	-3593619

9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-7464505	-5802060
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-41520	-39077
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-191180	-217320
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-1049946	-623306
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-3195957	-2071039
საპროცენტო ხარჯი	-2027153	-2661746
სხვა ფინანსური ხარჯი	-68869	0
სულ	-14039130	-11414548

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
ძირითადი საშუალებები	23284485	5039179
სხვა არამატერიალური აქტივები	579460	559324
სულ	23863945	5598503

11. ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
საინვესტიციო ქონება	3378472	25017688

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	16001043	23588939
სულ	19379515	48606627

12. მარაგები

მარაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
მოკლევადიანი მარაგები	1106826	1621500
გრძელვადიანი მარაგები	0	0
სულ	1106826	1621500

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2694637	2898359
სულ	2694637	2898359

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1094709	952116
სულ	1094709	952116

15. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
გაცემული სესხები	764673	1583209
სულ	764673	1583209

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31/12/2023	31/12/2022
-------------------	-------------------

სავაჭრო ვალდებულებები	1919295	704512
სხვა ფინანსური ვალდებულებები	228539	5629
ანარიცხები	38437	71059
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2912874	7474968
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	23396113	13952581
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8180147	7258430
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	11786	187468
სულ	36687191	29654647

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე;
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე;
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამი თვემდე.

17. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
მიღებული ავანსები	8180147	7258430
სულ	8180147	7258430

18. სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
სხვა ფინანსური ვალდებულებები	228539	5629
სულ	228539	5629

19. შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები

შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31/12/2023	31/12/2022
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	11786	187468
სულ	11786	187468

20. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „მნიშვნეები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

- მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები განხილულია დაკავშირებულ მხარეებთან.

21. პირობითი ვალდებულებები

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი-ს მენეჯმენტი დამატებით მიმოიხილავს რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენს ხელმძღვანელობას თავის მოსაზრებას. ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2024 წლის 30 მარტს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში არ გამოვლენილა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

მოსაზრება კონსოლიდირებული მმართველობით ანგარიშგებაზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის და მისი შვილობილი კომპანიების თანხმებით 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

გარიგების აუდიტორი

ნათელა ჭიაბერაშვილი

1. საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (ს/კ 211360203) (2011 წლამდე უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“) ფუნქციონირებს 1992-1993 სასწავლო წლიდან აკად. დავით ტვილდიანის და დიმიტრი ტვილდიანის თაოსნობით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1000 აშშ დოლარს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ლუბლიანის ქ. №2/6. კომპანიის დამფუძნებელია დიმიტრი ტვილდიანი; პ/ნ (01005000648), 100.% წილით.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, ს/კ 211360203 არის მშობელი:

- საქართველოს ბიოსამედიცინო მეცნიერებებში სადოქტორო განათლების ასოციაცია ს/კ 402886061 23.02.2010 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100% - საქმიანობა არის საგანმანათლებლო მომსახურება;
- შპს ამერიკული ჰოსპიტალი თბილისში ს/კ 205267370 19.11.2008 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100% - საქმიანობა არის სამედიცინო მომსახურება;
- შპს ელიავას საერთაშორისო ფაგოთერაპიული ცენტრი ს/კ 205276770 08.04.2009 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 50% არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ელიავას ფონდი - საქართველოში ბაქტერიოფაგიის განვითარების ასოციაცია, 205254927 50% - საქმიანობა არის სამედიცინო მომსახურება;
- შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტალი ს/კ 401995837 15.04.2014 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100% - საქმიანობა არის სამედიცინო მომსახურება;
- შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი ს/კ 402022609 22.10.2015 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100% - საქმიანობა არის საგანმანათლებლო მომსახურება;
- შპს ლიცი ს/კ 448404423 10.08.2017 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100% - საქმიანობა არის სასტუმროს მომსახურება;

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია. წარმოადგენს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის ცენტრს, რომლებსაც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს ინგლისურ და ქართულ ენებზე. საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებულია სწავლა/სწავლების უახლესი მეთოდოლოგია. მისი დაარსების იდეა უკავშირდება საზოგადოდ განათლებასა და განსაკუთრებით სამედიცინო განათლებაში საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობის იდეას;

უნივერსიტეტის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების დაფუძნებამ და განვითარებამ (უნივერსიტეტი თავისი საქმიანობის მეორე დეკადის ბოლოს ავტორიზირებული და აკრედიტირებული პროგრამებით შეხვდა); უნივერსიტეტის საქმიანობის მესამე ათწლეულისათვის უმნიშვნელოვანესი იყო კერძო სამართლის იურიდიულ პირ უნივერსიტეტთა (დტსუ) ევროკავშირის დაფინანსებულ ერაზმუს + (ყოფილი ტემპუსი) საგრანტო კონკურსში

მონაწილეობის შესაძლებლობა (ePBLnet, PACT); რამაც მას ახალი პარტნიორები და გამოცდილება შესძინა, საშუალება და ვალდებულება – სრულად გააზიაროს ცოდნა, ასევე საკუთარი კვლევებით მიღებული გამოცდილება პარტნიორ და/ან დაინტერესებული უნივერსიტეტებისთვის. ეს არის შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ ქვეყნისათვის (მათ შორის დტსუ) შექმნილი შესაძლებლობა სამეცნიერო კვლევების შეფასების (საგრანტო კონკურსის ფარგლებში) განხილვის საერთაშორისო ექსპერტულ კონტექსტში. სწორედ ამ წლებიდან უნივერსიტეტი ხდება მისი განვითარებისთვის საინტერესო ყველა ევროპული და საერთაშორისო (AMEE, AMSE, EBMA, ORPHEUS, UEMS, EUA) პროფესიული ფორმატის წევრი.

შპს ღვინოთა ქვემოთხეობის საბჭო

ժողով

სწავლებისა და კვლევებისათვის ოპტიმალური გარემოს შექმნის პროცესის ხელშეწყობა;
მედიცინის დარგში ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე სასწავლებლის როლის ზრდა;
განათლებაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნაში საკუთარი წვლილის შეტანა.

მიზნები

1. სწავლების ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ინტეგრირების ხარისხის ზრდა.
2. კვლევის ხარისხი. უნივერსიტეტის სამეცნიერო გარემოს განვითარება ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების ზრდის მეშვეობით.
3. ადამიანური რესურსის ხარისხი. არსებული აკადემიური პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა; ახალი რესურსების მოზიდვა.
4. ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის ხარისხი. ხელმძღვანელობის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების უწყვეტი გაუმჯობესება.
5. კოლაბორაცია. ურთიერთთანამშრომლობის შენარჩუნება და გაზრდა ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე.
6. ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენება. ფინანსური რესურსების მიმართვის გეგმაზომიერობის, მიზნობრივობისა და რაციონალურობის ხარისხის გაუმჯობესება.
7. ინფრასტრუქტურა და გარემო. უნივერსიტეტის სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; სასწავლო, სამეცნიერო, საინფორმაციო ბაზის განვითარება.
8. სტუდენტთა ჩართულობა/მონაწილეობა. სასწავლებლის ცხოვრებაში სტუდენტების უშუალო ჩართვისა და მათი აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა.
9. გამოცდილების ინტერნაციონალიზაცია. ინტერნაციონალურ კულტურულ დიალოგში ჩართვის ხელშეწყობა.
10. საზოგადოებასთან ურთიერთობები. საზოგადოებისათვის სამსახური ცხოვრების ხარისხის, კულტურული სიძლიერისა და ინტელექტუალური კაპიტალის ზრდით.
11. ეროვნულ/საერთაშორისო დონეზე პოზიციების დამკვიდრება. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მაღალი ხარისხის უნივერსიტეტის რეპუტაციის მოპოვება.
12. ხარისხის კულტურა. ხარისხის კულტურის განვითარება უნდა გახდეს მთავარი მიზანი: ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების გაფართოება, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლის ფორმალური სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან კავშირში.

სამუშაო გარემო

ჯგუფმა განსაზღვრა, უზრუნველყო და ინარჩუნებს სამუშაო გარემოს, რომელიც აუცილებელია პროცესების მიმდინარეობისა და მომსახურების შესაბამისობისათვის დადგენილ მოთხოვნებთან. სამუშაო გარემოში იგულისხმება ადამიანური და ფიზიკური ფაქტორების კომბინაცია, როგორიცაა:

- სოციალური (არა-დისკრიმინაციული, მშვიდი, არა-კონფრონტაციული);
- ფსიქოლოგიური (სტრესული სიტუაციის შემცირება, გადაღლის პრევენცია, ემოციური დაცვა);
- ფიზიკური (ტემპერატურა, გათბობა, ტენიანობა, განათება, ჰაერცვლა, ჰიგიენა, ხმაური).

შრომის უსაფრთხოება

ჯგუფში შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნები შესაბამეა საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების სამსახური დამატებით ახორციელებს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის პროცედურებს რისკის მართვის თვალსაზრისით, რათა თავიდან ააცილოს ჯგუფს:

- საწარმოო ტრამვები - უბედური შემთხვევები, დაზიანებები მიმართული პერსონალის და ვიზიტორების ჯანმრთელობის და სიცოცხლის მიმართ;
- პერსონალის არაკვალიფიციურობის და გაუფრთხილებლობის გამო გამოწვეული საფრთხეები ჯგუფის მიმართ.

მისი მიზანია უზრუნველყოს ჯგუფში შრომის დაცვის თვალსაზრისით პერსონალისათვის საფრთხის შემცველი ადგილების გამოვლენა, განახორციელოს საფრთხის ანალიზი, შეაფასოს ამ საფრთხის მოხდენის რისკი და საკონტროლო ზომები გაატაროს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად.

ჯგუფის ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო ბალონები განთავსებულია საჭირო ადგილებზე. სამედიცინო დახმარების ყუთები საჭირო საშუალებებით არსებობს საწყობის თვალსაჩინო ადგილებზე. ჯგუფში არის პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომელიც ნებისმიერი უბედური შემთხვევის დროს პირველად დახმარებას გაუწევს დაზარალებულს. თვალსაჩინო ადგილებზეა განლაგებული საევაკუაციო გეგმა, მითითებულია იმ პასუხისმგებელ პირთა ტელეფონის ნომრები, რომლებიც უნდა იქნენ გამოძახებულნი კრიზისული სიტუაციების დროს.

სპეციალური დაცვის სამსახური იცავს შენობას და უსაფრთხოებას 24 საათის განმავლობაში.

2 კორპორაციული მართვის ანგარიშგება:

ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ

- შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, ს/კ 211360203 არის მეწილე;
- საქართველოს ბიოსამედიცინო მეცნიერებებში სადოქტორო განათლების ასოციაცია ს/კ 402886061 23.02.2010 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100%
- შპს ამერიკული ჰოსპიტალი თბილისში ს/კ 205267370 19.11.2008 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100%
- შპს ელიავას საერთაშორისო ფაგოთერაპიული ცენტრი ს/კ 205276770 08.04.2009 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 50% არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ელიავას ფონდი - საქართველოში ბაქტერიოფაგიის განვითარების ასოციაცია, 205254927 50%
- შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტალი ს/კ 401995837 15.04.2014 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100%
- შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი ს/კ 402022609 22.10.2015 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100%
- შპს კვარიათი პარადიზი ს/კ 448404423 10.08.2017 შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, 211360203 100%

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საქართველოში კვლევას სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ყურადღებით არჩევს სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს, აფასებს ენობრივ კომპეტენციას კვლევის თემატიკასა და სფეროსადმი შესაბამისობას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წახალისებას (სტატიები, კონფერენციებში მონაწილეობა, რედაქტირება, წიგნის ავტორობა, პროექტების/გრანტების მოზიდვა და სხვ.) უნივერსიტეტი მოუწოდებს აკადემიურ პერსონალს კვლევები განახორციელონ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან ერთად.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის სამეცნიერო ინტერესი ორიენტირებულია "მრავალფეროვან" სამედიცინო პრობლემემატიკის ფართო ჩამონათვალზე (იგულისხმება დაავადებათა სამედიცინო სპეციალიზაციის თვალსაზრისით კუთვნილება: დიაბეტი, ინფექციური დაავადება და ა. შ.) ამასთან, ზემოთ ხსენებული აქტივობა შეიძლება მოიცავდეს როგორც სამუშაოს ჩატარებულს მოლეკულურ, უჯრედულ დონეებზე, ასევე ერთიან მოდელთა (ექსპერიმენტული ცხოველი) დონეზე, კლინიკურ კვლევებსა და ობზერვაციულ დაკვირვებას პოპულაციისა და სუბპოპულაციის დონეებზე, მეტა ანალიზს, ფოკუს ჯგუფებთან დისკუსიას, ინტერვიუებას და სხვა სახის კვლევებს. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ მიმდინარე კვლევებს შეაქვს წვლილი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მეცნიერებისა და სამედიცინო პრაქტიკის განვითარებაში

ყველა მათგანი ამა თუ იმ კუთხით ემსახურება დაავადებათა პრევენციის ან ავადმყოფის მოვლის/მართვის გაუმჯობესების საკითხებს, შესაბამისად, საზოგადოებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მათი (კვლევათა) სარგებელი ადვილად „იკითხება“ კვლევის მიზნებშივე, ხოლო კვლევის შედეგებზე დაფუძნებული სამეცნიერო მიგნებების ინტერპრეტაცია პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციებშია ასახული.

უნივერსიტეტს ასევე აქვს საშუალება (ახლად გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში) კვლევითი კოლაბორაცია დაიწყოს ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან. შესაბამისად, უნივერსიტეტს აქვს ხელვა კვლევით მიმართულებაში გრძელვადიანი განვითარების, რომელიც გულისხმობს როგორც საკუთრივ კვლევითი პროექტების შემუშავებას (კონკრეტული კვლევის ირგვლივ შექმნილი ინტერესთა ჯგუფები, ადგილობრივი და საერთაშორისო კოლაბორაციული თანამშრომლობა) და განხორციელებას;

- ანესთეზიოლოგთა და რეანიმატოლოგთა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია – ჯოანესტუზია 2023;
- ანატომიის საერთაშორისო გამოფენა;
- IX საერთაშორისო მულტიდისციპლინური კონფერენცია. (SYSSA);
- თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგ-პროგრამის კურსი: „ბავშვთა და მოზრდილთა ნევროლოგიური დარღვევების რეაბილიტაციური მკურნალობა“;
- დტსუ-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ETHICS პროექტის პირველ საერთაშორისო შეხვედრაში, რომელსაც ჩარლზის უნივერსიტეტმა უმასპინძლა;
- ლაპაროსკოპიული ქირურგიის ბაზისური უნარ-ჩვევების კურსი ექიმი ქირურგებისთვის, ქირურგიის მიმართულების რუხილენტებისთვისა და მე-6 კურსის სტუდენტებისთვის;
- დტსუ-ს მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა, სადაც ეპილეფსიის დარგის ექსპერტების ჩართულობით საშუალება მიეცათ უშუალოდ პაციენტების მშობლებს არსებული გამოწვევების გადაჭრის გზები განეხილათ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად;
- ორმაგი (SLP/ABA) სასერტიფიკაციო პროგრამა – “ენა/მეტყველების და ქცევის თერაპია”, უნივერსიტეტის ასოც. პროფესორის, ნევროლოგ ლიკა ყანდარელის ხელმძღვანელობითა და მულტიდისციპლინურ გუნდის წევრთა (მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი, ქცევითი თერაპიის სუპერვიზორი) მონაწილეობით ჩატარდა.

საქმიანობის ძირითადი მარკულისებელი დოკუმენტებია:

საკანონმდებლო აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
- საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ
- საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ

ნორმატიული აქტები:

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხის წესია
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი
- სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო გრანტის განსაზღვრისა და გაცემის წესი

- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის - ფორმის დამტკიცების წესი
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის - დანართის ფორმის დამტკიცების წესი
- რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, წარმართვის და შეფასების წესი
- საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი
- საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულება
- საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის დებულება

რეგულაციები:

- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება
- ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- აკადემიური საბჭოს დებულება
- რექტორის საბჭოს დებულება
- უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ მედიცინის ფაკულტეტის წესდება
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პოლიტიკა
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კონცეფცია
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურები
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის განვითარების კონცეფცია
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ დებულება
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში პერსონალის მიღების წესი
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში საქმისწარმოების წესი
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სწავლების მართვისა და ორგანიზების დებულება
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის შემაჯამებელი გამოცდების (ქვიზის) ჩატარებისა და ქცევის წესი
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთიკის კოდექსი
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა შინაგანაწესი
- დავით ტვილდიანის სტიპენდიის დებულება
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მედი ქლაბ ჯორიჯიას სტიპენდიის დებულება
- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება

- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განთლების აღიარების წესი
- აკადემიური გადაცდომის გამოვლენისა და სანქციის შეფარდების პროცედურები

3.საქმიანობის აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არა ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

	31.12.2023	31.12.2022	ცვლილება	% წინა წელთან შედარებით	
მიმდინარე აქტივები	9078412	7253368	1825044	25,16	
გრძელვადიანი აქტივები	44428796	54205130	-9776334	-	18,04
სულ აქტივები	53507208	61458498	-7951290	-	12,94
სულ ვალდებულებები	36687191	29654647	7032544	23,71	
მოგება / ზარალი	5981726	9753738	-3772012	-	38,67
სულ საკუთარი კაპიტალი	16820017	31803851	-14983834	-	47,11
შემოსავალი რეალიზაციიდან	18410558	16987928	1422630	8,37	

არაფინანსური მაჩვენებლები

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ძლიერი მხარეებია:

- **კარიერის დაგეგმვა:** სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით კარიერის დაგეგმვის სამსახურის არსებობა;
- **განათლება:** საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში, ინგლისურენოვანი პროგრამების არჩევანი, სტუდენტთა შეფასების ობიექტურმა გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა;
- **ინტერნაციონალიზაცია:** საერთაშორისო გარემო (სტუდენტებისა და პერსონალის მულტიკულტურული საზოგადოება), აქტიური ურთიერთობა სხვა უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან;
- **ურთიერთობა საზოგადოებასთან:** მჭიდრო კავშირები კერძო და საჯარო დაწესებულებებთან;
- **სოციალური აქტივობა:** აქრიური სოციალური ცხოვრება, მრავალფეროვანი სტუდენტური კლუბები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითად რისკს განეკუთვნება შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი რეგულაციის შემოღება და სხვა. ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხშირია სხვადასხვა ტიპის მარკეტინგული აქტივობები, რაც მოითხოვს პერმანენტულ ცვლილებებს საოპერაციო საქმიანობაში და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში.

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

გასულ წლებში ვირუსის გავრცელების შედეგად სიტუაცია სწრაფად ცვალებადი იყო. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ, ისე ადგილობრივი ბაზრებზე ამასთან, მას მნიშვნელოვანი პირდაპირი შედეგი არ ჰქონია შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საქმიანობაზე.

არაფინანსური მაჩვენებლები

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ძლიერი მხარეებია:

- **კარიერის დაგეგმვა:** სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით კარიერის დაგეგმვის სამსახურის არსებობა;
- **განათლება:** საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში, ინგლისურენოვანი პროგრამების არჩევანი, სტუდენტთა შეფასების ობიექტური გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა;
- **ინტერნაციონალიზაცია:** საერთაშორისო გარემო (სტუდენტებისა და პერსონალის მულტიკულტურული საზოგადოება), აქტიური ურთიერთობა სხვა უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან;
- **ურთიერთობა საზოგადოებასთან:** მჭიდრო კავშირები კერძო და საჯარო დაწესებულებებთან;
- **სოციალური აქტივობა:** აქტიური სოციალური ცხოვრება, მრავალფეროვანი სტუდენტური კლუბები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითად რისკს განეკუთვნება შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი რეგულაციის შემოღება და სხვა. ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხშირია სხვადასხვა ტიპის მარკეტინგული აქტივობები, რაც მოითხოვს პერმანენტულ ცვლილებებს საოპერაციო საქმიანობაში და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში.

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

გასულ წლებში ვირუსის გავრცელების შედეგად სიტუაცია სწრაფად ცვალებადი იყო. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ, ისე ადგილობრივი ბაზრებზე ამასთან, მას მნიშვნელოვანი პირდაპირი შედეგი არ ჰქონია შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საქმიანობაზე.

დირექტორი დიმიტრი ტვილდიანი 3/5 01005000648



შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 211360203

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1094709	952116
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები		3310067	0
გაცემული სესხები	15	764673	1583209
მოკლევადიანი მარაგები	12	1106826	1621500
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2694637	2898359
საინვესტიციო ქონება		3378472	25017688
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	11	16001043	23588939
სხვა მოკლევადიანი აქტივები		107500	198184
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1185336	0
სხვა არამატერიალური აქტივები	10	579460	559324
ძირითადი საშუალებები	10	23284485	5039179
სულ აქტივები		53507208	61458498
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	16	1919295	704512
სხვა ფინანსური ვალდებულებები	18	228539	5629
ანარიცხები		38437	71059
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		2912874	7474968
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		23396113	13952581
მიღებული აქვანსები	17	8180147	7258430
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრეცლოები	19	11786	187458
სულ ვალდებულებები		36687191	29654647
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კომპერატის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		10777970	22010615
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		5981726	9753738
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		60321	39498
სულ საკუთარი კაპიტალი		16820017	31803851
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		53507208	61458498

დირექტორი: დიმიტრი ტვილდიანი პ/წ 01005000648



შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 211360203

კონსოლიდირებული ანგარიშგება სრული შემოსავლის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

საქმიანობის შედეგები

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
ამონაგები	6	18410558	16987928
გაყიდვების თვითღირებულება		-5077236	-3381941
საერთო მოგება		13333322	13605987
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	122788	93750
დაქირავებულ პირთა გასამრეკლეობის ხარჯი		-7464505	-5802060
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		-1779876	-587928
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		-21186	-21186
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი		-467494	-2379885
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		-41520	-39077
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		-191180	-217320
იჯარის ხარჯი		-81640	-58600
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		-53124	-43615
მკვთა / ამორტიზაციის ხარჯი		-1049946	-623306
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	-3195957	-2071039
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სხვა		-938242	0
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		13899	0
საპროცენტო ხარჯი		-2027153	-2661746
სხვა ფინანსური ხარჯი		-68869	0
მიღებული დივიდენდები		250000	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	8	-5793	-502405
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		-3666476	-1308430
მოგების გადასახადის ხარჯი		-105536	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-3772012	-1308430

დირექტორი დიმიტრი ტვილდიანი პ/გ 01005000648



შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 211360203

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა

შენიშვნა	31/12/2022	31/12/2023
ა	3	2
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	18492615	27273259
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-18350022	-27245256
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	-985210
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	142583	-957207
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	952116	1909323
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1094709	952116

დირექტორი დიმიტრი ტვილდიანი პ/ნ 01005000648



შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 211360203

კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

საკუთარი კაპიტალი	31/12/2023	31/12/2022
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოორპერატივის შემთხვევაში 'სააპიო კაპიტალი')	10777970	22010615
გაუნაწილებელი ზოგება / (დაგროვილი ზარალი)	5981726	9753738
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	60321	39498
სულ საკუთარი კაპიტალი	16820017	31803851

დირექტორი დიმიტრი ტვილდიანი პ/წ 01005000648

